ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2250739

ნომერი: AR1346160

თარიღი : 01.10.2015

გაცემის თარიღი : 20.10.2015

გაცნობის თარიღი : 20.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ კრაწაშვილი პ/ნ 01005019259
- თბილისი წყალტუბოს ქ. კორ. 1 ბ. 45

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.02.2013 წ. #540305 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა შეტანის თაობაზე

მოქალაქე რევაზ კრაწაშვილმა (თანაგამცხადებელი: შპს ,,ლუკა M” -ს დირექტორი ჰასან თაჰსინ ჯენევიზმა) 01.10.2015 წ. #AR1346160 განცხადებით მომართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 14.02.2013 წ. #540305 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა განაშენიანების რეგულირების ხაზის კორექტირებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 14.02.2013 წ. #540305 გადაწყვეტილებით ქალაქი თბილისში, სოფელი

დიღომი, დიდ დიღომში (საკადასტრო ერთეული: #01.72.14.038.868, ფართობი: 2120 კვ.მ) საოჯახო ტიპის სასტუმროს განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 21.10.2014 წ. #1550115 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში.
ზემოაღნიშნულ პირობებით მიწის ნაკვეთზე სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელი გახდა ტერიტორიაზე სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან განაშენიანების რეგულირების ხაზების მოქმედების გათვალისწინებით.
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზე განაშენიანების რეგულირების ხაზის გაუქმების საკითხი განიხილა "ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო"–ს სხდომამ და რადგან საპროექტო არეალი წარმოადგენს კვარტალის კუთხის ნაკვეთს, შესაძლებლად ჩაითვალა ნაკვეთზე მხოლოდ სამხრეთის მხარეს დაფიქსირებული განაშენიანების რეგულირების ხაზის გაუქმება.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 14.02.2013 წ. #540305 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.02.2013 წ. #540305 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მოხსნილი იქნას მხოლოდ სამხრეთის მხარეს დაფიქსირებული განაშენიანების რეგულირების ხაზი;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.02.2013 წ. #540305 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს ჩანაწერი შემდეგი რედაქტირებით: "აღნიშნულ ტერიტორიაზე უნებართვოდ ან/და სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის შემთხვევაში მოხდეს არსებული მშენებარე ობიექტის დემონტაჟი და ამის შესახებ ეცნობოს ზედამხედველობის სამსახურს ან საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის II პუნქტი თანახმად დამრღვევის მიერ პროექტის შეთანხმების სტადიაზე, წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტი და ჯარიმის ქვითარი.";
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.02.2013 წ. #540305 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ტერიტორიაზე მოქმედი განაშენიანების რეგულირების ხაზების განახლებული სქემატური ნახაზი;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.